ტრენინგის გავლენა მშობლის (შვილთან) კომუნიკაციაზე

კონსტანტინე იამანიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი: ნინო გოგიჩაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2022

სარჩევი

აბსტრაქტი 3

Abstract 4

მადლობა 5

საკვლევი საკითხი 5

ლიტერატურის მიმოხილვა 6

ჰანენის პროგრამა ,, It Takes Two to Talk ''(საუბარს ორი სჭირდება) 12

ჰანენის პროგრამის ჩარჩო, მშობლის კომუნიკაციური ქცევის შეფასებისთვის : 18

კვლევის მეთოდები 20

მონაწილე პირები და მათი შერჩევის კრიტერიუმი 20

კვლევის მონაწილეები : 20

მონაწილეების მოძიება და ჩართვა კვლევაში 21

კვლევის დიზაინი 22

კვლევის პროცედურა : 23

საფუძვლის მონაცემების მოპოვება 24

ინტერვენცია 1 - თეორიული შესავალი 24

ინტერვენცია 2- პრაქტიკული ნაწილი 25

კოდირების პროცედურა ვიდეო ინტერაქციისთვის : 27

კვლევის შედეგები 28

,,ა"-ს მშობლის შემთხვევა 36

,,ბ" -ს მშობლის შემთხვევა 43

,,გ"-ს მშობლის შემთხვევა 47

მონაცემთა განხილვა/ანალიზი 52

კვლევის ღირებულებები 58

კვლევის შეზღუდვები 58

დასკვნა 59

გამოყენებული ლიტერატურა 60

დანართები 63

დანართი 1 - ტესტი კომუნიკაციის შესახებ 63

დანართი 2 - ინფორმირებული თანხმობის ფორმა 67

დანართი 3 - ინფორმირებული თანხმობა 72

აბსტრაქტი

კვლევაში მოცემულია ჰანენის პროგრამაზე დაფუძნებული აუტიზმის მქონე ბავშვების ოჯახზე ორიენტირებული ინტერვენცია და მისი გავლენა მშობელსა და ბავშვს შორის კომუნიკაციაზე. მთავარი საკვლევი კითხვაა, ჰანენის პროგრამაზე დაფუძნებული მცირე ჯგუფში განხორციელებული ტრენინგის გავლენა აუტიზმის მქონე ბავშვებსა და მათი მშობლების კომუნიკაციაზე. მოცემული 3 შემთხვევის ანალიზი გვიჩვენებს ჰანენის ამ პროგრამაზე დაფუძნებული ინტერვენციის ეფექტურობას. კვლევა არის კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული დიზაინის და აღწერით ხასიათს ატარებს. ის წარმოდგენილია შემთხვევების განხილვის ფორმატში და მიზნად არ ისახავს ამ სამი შემთხვევის ერთმანეთთან შედარებას, არამედ ემსახურება მათგან მიღებული ინფორმაციისა და გამოცდილების გაერთიანებას. კვლევის შედეგებში აღწერილია მოკლე დროში მიღწეული ის დადებითი ცვლილებები, რომლებიც აისახა როგორც მომვლელის ცოდნაში

კომუნიკაციის შესახებ, ასევე ბავშვის საჭიროებებს მორგებისა და საკუთარი ქცევის რეფლექსიის უნარში. კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა მშობლის, როგორც საკომუნიკაციო პარტნიორის ქცევის ცვლილება. შედეგად, მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით ცვლილებებია ყველა მშობლისა და ბავშვის ურთიერთობაში, სადაც მშობელი უერთდება ბავშვის თამაშს, ამყარებს მზერით კონტაქტს, მიჰყვება ბავშვის ინიციატივას, ეხმარება ჯერის დაცვაში.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები : აუტიზმი(ASD), კომუნიკაცია, კომუნიკაციური პარტნიორი, კომუნიკაციის ტრენინგი, ჰანენის ადრეული ენობრივი განვითარების პროგრამა, ,,დააკვირდი, დაელოდე, მოუსმინე“ პრინციპი.

Abstract

The research presents a family-centered intervention for children with autism based on the Hannen program and its impact on parent-child communication. The main research question is the impact of training in a small group based on the Hannen program on communication between children with autism and their parents.The analysis of the given 3 cases show the effectiveness of the intervention based on Hanen program. The study is an experimental design and description based on a clinical case. It is presented in a case review format and is not intended to compare these three cases with each other and serves to combine the information and experience gained from them. The results of the research describe the positive changes achieved in a short period of time, which were reflected in the caregiver's knowledge of communication, as well as in the child's ability to adjust and reflect on his own behavior. The research revealed a change in the parent's behavior as a communication partner. As a result, based on the data obtained, there are changes in the relationship between all parents and children, where the parent joins the child in play, establishes eye contact, follows the child's initiative, helps to protect Jerry.

Main Thematic Keywords: Autism (ASD), Communication, Communication Partner, Communication Training, Hannen Early Language Development Program, "Observe, Wait, Listen "Principle.

მადლობა

მკვლევარი მადლობას უხდის კვლევაში მონაწილე ყველა პირს გაწეული დახმარებისთვის და კვლევისადმი პასუხისმგებლობით სავსე დამოკიდებულებისთვის.

განსაკუთრებული მადლობა კვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელს ნინო გოგიჩაძეს, კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისათვისა და მხარდაჭერისთვის.

საკვლევი საკითხი

აუტიზმის მქონე ბავშვების მშობლები მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგანან. ისინი ცდილობენ წარმატებული კომუნიკაციის დამყარებას საკუთარ შვილებთან, რაც აუტიზმის შემთხვევაში საკმაოდ რთულია და დიდ ძალისხმევას, სპეციფიკური უნარებისა და სტრატეგიების ცოდნას მოითხოვს. მშობელთა გაზრდილი სტრესი და სპეციფიკური უნარების დეფიციტი კი პირდაპირ აისახება მათ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, და შემდგომ ბავშვზეც. ამიტომ მშობლით გაშუალებული ინტერვენცია ყველაზე ეფექტურ სტრატეგიად ითვლება აუტიზმის დროს, რადგან მშობლები სწორედ ის მნიშვნელოვანი ადამიანები არიან, რომლებიც ყველაზე მეტ დროს ატარებენ ბავშვთან და გარდამტეხ როლს თამაშობენ ბავშვის ცხოვრებაში. როცა მშობლებს უჭირთ ბავშვთან კომუნიკაცია, მათი კომუნიკაციური განზრახვების შემჩნევა, ეს კიდევ უფრო ზღუდავს ბავშვის შესაძლებლობებს და ართულებს მათ ფსიქიკურ მდგომარეობას. ენისა და მეტყველების თერაპიის (SLT) მთავარი ფუნქცია და